საიდ. №72144/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №56-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ნისან ჯიდოშა კაბუშიკი კაიშა (ნისან მოტორ კო., ლტდ)”-ს (Nissan Jidosha Kabushiki Kaisha (also trading as Nissan Motor Co., Ltd.)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №56-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №153/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „SENTRA” (საიდ. №72144/03) დარეგისტრირება საქონლის მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ავტომობილები, ვაგონები (ვაგონეტები), სატვირთო მანქანები, ფურგონები, აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი სპორტული ავტომობილები, ავტობუსები, რეკრიაციული ავტომობილები (RV), სპორტული მანქანები, სარბოლი მანქანები, სატვირთო მანქანები, ჩანგლისებრი სატაციანი მანქანები და ურიკასაწევარები (ტრაქტორები) და მათი სტრუქტურული ნაწილები; ტრაქტორები;

მოპარვის (გაქურდვის) საწინააღმდეგო სიგნალიზაცია სატრანსპორტო საშუალებებისათვის; რეზინის წებვადი საკერებლები სალტეებისა ან კამერების შეკეთებისათვის, ყველა ეს საქონელი შეტანილი მე-12 კლასში". (მე-12 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის №153/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "SENTRA" მსგავსია კომპანია "ექსაიდ ტექნოლოჯიზ ს. ა." (მისამართი: ულ. გდინსკა 31/33 PL-61-016, პოზნანი, PL(PL/PL) სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა "CENTRA" (რეგისტრაციის: №19016, რეგისტრაციის თარიღი: 29/12/08) მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის, რომელთაც აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა და მსგავსი სიტყვიერი ჩანაწერი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნულ ნიშნებს შორის "SENTRA", "CENTRA" განსხვავება არის მხოლოდ ერთ ასო-ბგერაში, წარმოდგენილი ნიშნის შემთხვევაში "S", ხოლო დაპირისპირებული ნიშნის შემთხვევაში "C". ორივე ასობგერა შეიძლება იკითხებოდეს როგორც "s", რაც იწვევს სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცორების შედეგად აღრევის შესაძლებლობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ნისან ჯიდოშა კაბუშიკი კაიშა (ნისან მოტორ კო., ლტდ)" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. აპელანტის პოზიციით, განსხვავებულია ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია

სტანდარტული ლათინური ასომთავრული შრიფტით „SENTRA". დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანიც სტანდარტული ლათინური შრიფტით არის ჩაწერილი „CENTRA". აპელანტი თვლის, რომ ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისით განსხვავებულია. აპელანტის მითითებით, იგი არ ეთანხმება სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზის დასკვნას საქონლის ერთგვაროვნებაზე. რადგან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი განცხადებულია საქართველოში შემდეგი საქონლისათვის მე-12 კლასიდან: "ავტომობილები, ვაგონები (ვაგონეტები), სატვირთო მანქანები, ფურგონები, აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი სპორტული ავტომობილები, ავტობუსები, რეკრიაციული ავტომობილები (RV), სპორტული მანქანები, სარბოლი მანქანები, სატვირთო მანქანები, ჩანგლისებრი სატაციანი მანქანები და ურიკა-საწევარები (ტრაქტორები) და მათი სტრუქტურული ნაწილები და ფიტინგები; ტრაქტორები; მოპარვის (გაქურდვის) საწინააღმდეგო სიგნალიზაცია სატრანსპორტო საშუალებებისათვის; რეზინის წებვადი საკერებლები სალტეებისა ან კამერების შეკეთებისათვის, ყველა ეს საქონელი შეტანილი მე-12 კლასში". დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი რეგისტრირებულია საქონლისათვის მე-9 კლასიდან და მომსახურებისათვის 37-ე და 39-ე კლასებიდან. აპელანტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ აკუმულატორები გამოიყენება ავტომობილებისათვის და სხვა ტიპის მანქანებისათვის, რომელსაც ფარავს მისი სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალი არ შეიძლება საქონელი ჩაითვალოს ერთგვაროვნად და აღრევის შესაძლებლობამდე მსგავსად. აგრეთვე, ისეთი მომსახურებები, როგორიცაა აკუმულატორებისა და ბატერეების დამუხტვა ან გაქირავება არ შეიძლება ჩაითვალოს მსგავსად მე-9 კლასის საქონელთან მიმართებაში. ამასთან აპელანტმა საქმის ზეპირის მოსმენის სხდომის დროს განაცხადა, რომ იგი თანახმაა შეზღუდოს მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი და აღნიშნული ჩამონათვალიდან ამოიღოს „ფიტინგები". ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №153/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „SENTRA" (საიდ. №72144/03)

დარეგისტრირებას საქონლის მე-12 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ავტომობილები, ვაგონები (ვაგონეტები), სატვირთო მანქანები, ფურგონები, აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი სპორტული ავტომობილები, ავტობუსები, რეკრიაციული ავტომობილები (RV), სპორტული მანქანები, სარბოლი მანქანები, სატვირთო მანქანები, ჩანგლისებრი სატაციანი მანქანები და ურიკა-საწევარები (ტრაქტორები) და მათი სტრუქტურული ნაწილები; ტრაქტორები; მოპარვის (გაქურდვის) საწინააღმდეგო სიგნალიზაცია სატრანსპორტო საშუალებებისათვის; რეზინის წებვადი საკერებლები სალტეებისა ან კამერების შეკეთებისათვის, ყველა ეს საქონელი შეტანილი მე-12 კლასში".

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ მართალია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს ვიზუალურად და ფონეტიკურად მსგავს სასაქონლო ნიშნებს, რადგან მათ შორის განსხვავებას, მხოლოდ ერთი ასო ბგერა წარმოადგენს, მაგრამ განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ იმდენად განსხვავებული საქონლის ჩამონათვალი, რომ შეუძლებელია სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-12 კლასის ისეთი საქონლის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ავტომობილებთან, ვაგონებთან და სატვირთო მანქანებთან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-9 კალსის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ბატარეებთან და აკუმულატორებთან, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი

რეგისტრირებულია 37-ე და 39-ე კლასის ისეთ მომსახურებისათვის, რომელიც დაკავშირებულია სარემონტო და საინსტალაციო მომსახურებას, რომელიც უკავშირდება ავტომობილის აკუმულატორებს და ბატარეებს. ზემოაღნიშნული კიდევ უფრო ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მოხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთან, აპელანტის მიერ საქონლის ჩამონათვლიდან ამოღებული იქნა „ფიტინგები", აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით კიდევ უფრო მეტად მცირდება ნიშნების აღრევის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „SENTRA" (საიდ. №72144/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ნისან ჯიდოშა კაბუშიკი კაიშა (ნისან მოტორ კო., ლტდ)"-ს (Nissan Jidosha Kabushiki Kaisha (also trading as Nissan Motor Co., Ltd.)) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 04 თებერვლის №153/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

3. სასაქონლო ნიშანი „SENTRA” (საიდ. №72144/03) დარეგისტრირდეს მე-12 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ავტომობილები, ვაგონები (ვაგონეტები), სატვირთო მანქანები, ფურგონები, აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილი სპორტული ავტომობილები, ავტობუსები, რეკრიაციული ავტომობილები (RV), სპორტული მანქანები, სარბოლი მანქანები, სატვირთო მანქანები, ჩანგლისებრი სატაციანი მანქანები და ურიკა-საწევარები (ტრაქტორები) და მათი სტრუქტურული ნაწილები; ტრაქტორები; მოპარვის (გაქურდვის) საწინააღმდეგო სიგნალიზაცია სატრანსპორტო საშუალებებისათვის; რეზინის წებვადი საკერებლები სალტეებისა ან კამერების შეკეთებისათვის, ყველა ეს საქონელი შეტანილი მე-12 კლასში”.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ე.
წევრები:	ი. გიქორაშვილი
	დ. ჭიჭინაძე